პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 168 (11779) | ხუთშაბათი, 21 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.



თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატი“ ახალგაზრდული საწარმოა. აქ ძირითადად საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ჭაბუკები და ქალიშვილები მუშაობენ, რომლებმაც სახელი გაითქვეს ბეჯითი შრომით. ქარხნის ახალგაზრდობა გულდასმით სწავლობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

სურათზე: მოწინავე მარეგულირებლები ზ. გალდავაძე (მარჯვნივ) და ბ. გელაშვილი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო მეტალურგიულ მრეწველობას. ქართველ მეტალურგებს კარგად ესმით ის დიდი როლი, რომელსაც მეტალურგია ასრულებს მრეწველობის განვითარებაში, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მეტი თუჯი, ფოლადი, ფეროშენადნობები მიაწოდონ სამშობლოს.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირველი და მესამე საამქროების კოლექტივებმა წინათ ცუდად მუშაობდნენ. სამშობლოს ლითონს აკლებდნენ. მიმდინარე წელს მუშაობა გარდაქმნეს. იქ ბევრი რამ ახალი გაკეთდა და დაინერგა. პირველ საამქროში ორჯერ შეამცირეს საღნობი ღუმელების რემონტისათვის განკუთვნილი დრო, მდნობელები და ზეინკლები გმირულად შრომობდნენ და კიდეც გაიმარჯვეს. მათმა მამაცურმა თავდადებამ გაადიდა ლითონის გამოდნობა — საამქროს კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის დავალება და წარმატებით მუშაობს ივლისშიც. ამ საამქროს მეექვსე ღუმელის ბრიგადებმა, რომლებსაც შ. დადუნაშვილი, ს. კვინიკაძე, ვ. უანჩაველი და ს. ფერაძე ხელმძღვანელობენ, ივლისის პლენუმისათვის მზადების დღეებში მოიპოვეს კომუნისტური შრომის ბრიგადების სპატიო წოდება.

დაწინაურდა მესამე საამქროს კოლექტივიც, რომელმაც მარტო ივნისში 97.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგა, ძვირფასი ლითონის მიღების დავალება 109,4 პროცენტით შეასრულა.

ქარხანაში ყველას უსწრებს მეორე საამქროს კოლექტივი, რომელსაც გამოცდილი ინჟინერი-მეტალურგი შ. თედორაშვილი ხელმძღვანელობს. ამ საამქროს მეტალურგები შეუპოვრად იბრძვიან, რომ საამქრომ მოიპოვოს კომუნისტური შრომის ბრიგადის სპატიო წოდება. საამქროს კოლექტივმა ნახევარი წლის დავალება 110,3 პროცენტით შეასრულა და 627.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. მამაცურად შრომობენ მეოთექვსმეტე ღუმელის კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც კ. მდივანი, კ. ცქიფურიშვილი, ი. კოკუბირაძე და რ. სხილადე ხელმძღვანელობენ.

მათ არც მეთერთმეტე ღუმელის მდნობელები ჩამორჩებიან. ამ ღუმელმა საამქროს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. ა. ჭურაძის, ა. მიქაბერიძის, გ. ჩიგოგას და შ. ფერაძის ბრიგადები ეიფაკაცური შემართებით მუშაობენ, სისტემატურად იძლევიან ზეგეგმით ლითონს, ზოგავენ ელექტროენერგიას. მარტო ა. ჭურაძის ბრიგადამ ექვს თვეში 81.471 კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა.

საამქროში წელს პირველად დაინერგა ლითონის მანქანური ჩამოსხმა. ამ დღეებში სამი ღუმელი გადავიდა ლითონის მექანიზებულ ჩამოსხმაზე. ამით იზრდება შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ლითონის დანაკარგები, შემსუბუქდა მძიმე შრომა, ამაღლდა წარმოების კულტურა.

მეცამეტე ღუმელზე დაიდგა ელექტრომათემატიკური გამომთვლელი მანქანა, რომელიც ავტომატურად მართავს ელექტროდებს, აუმჯობესებს ტექნოლოგიურ პროცესებს, ზრდის ღუმელის წარმადობას, ამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს.

ზესტაფონელი მეტალურგები გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, წინ იხდიდიან, ახალი ზღუდეების ასაღებად იბრძვიან.

პ. ᲞᲘᲝᲙᲐᲫᲔ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲒᲖᲘᲗ

თბილისის მაუდკამკოლის კომბინატის კოლექტივი კარგი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმს. ფეიქრებმა 103,6 პროცენტით გაანაღდეს მზა პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის დავალება, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათასობით მეტრი ძაღალი ხარისხის შალის ქსოვილები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი ენერგია შემატა კომბინატის კოლექტივს. ფეიქართა საერთო მისწრაფებაა კიდევ უფრო ამრავლონ შრომითი მიღწევები, დაიჩქარონ ტექნიკური პროგრესი, თავიანთი წვლილი შეიტანონ შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში.

— შვიდწლედის გრანდიოზული გეგმები დიდი წარმატებით ხორციელდება. ეს სასიხარულო ამბავია ყოველი ჩვენგანისათვის, — თქვა მქსოველთა ბრიგადის ქვეოსტატმა ა. ჩიქოვანმა, — მაგრამ ეს ჩვენგან მოითხოვს ძალების კიდევ უფრო დაძაბვას. ცხოვრება კიდევ უფრო ლამაზი და სასიხარულო რომ გახდეს, ყველამ უნდა ვეცადოთ გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, ხელი შევუწყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სწრაფ ზრდას. ჩვენმა ბრიგადამ ნახევარი წლის გეგმა 114 პროცენტით შეასრულა. პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად გადავწყვიტეთ ვადამდე გავანაღოდთ წლიური გეგმა, სამშობლოს მივცეთ ასობით მეტრი ზეგეგმითი შალის ქსოვილები.

მქსოველთა ბრიგადირმა გაგა-ნოველმა შ. მაღულარიამ განაცხადა:

— პლენუმის გადაწყვეტილებები ახალ ძალებს მატებს ყოველ ჩვენგანს. ტექნიკური პროგრესი ის ქვაკუთხედია, რომელზეც დამოკიდებულია შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. პარტიის მოწოდების პასუხად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ᲓᲘᲓᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის მდივანს ამხანაგ Თ. Ზ. ᲗᲝᲛᲮᲐᲫᲔᲡ

მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ Ა. Ნ. ᲗᲝᲛᲘᲫᲔᲡ

საქართველოს ალკკ მახარაძის რაიკომის მდივანს ამხანაგ რ. Ა. ᲓᲝᲜᲔᲫᲔᲡ

რაიაბრეშუმის კონტორის გამგეს ამხანაგ ტ. Ჯ. ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔᲡ

რაიაბრეშუმის კონტორის მთავარ აგრონომს ამხანაგ ნ. Ა. ᲑᲝᲙᲣᲩᲐᲕᲐᲡ

მახარაძის რაიონის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს პირველი გამოკვების აბრეშუმის პარკის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური ვალდებულების 100,6 პროცენტით შესრულებაში.

აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობაში მაღალ მაჩვენებლებს მიღწევენ შემდეგი სოფლების კოლმეურნეობებმა: ნატანების — თავმჯდომარე გივი აკაკის-ძე წითლიძე, გურიანთის — თავმჯდომარე პოკოფი გიორგის-ძე ბელითანიძე, ძიმითის — თავმჯდომარე სევერიანე მოსეს-ძე მუხაშავრია, ბოხვაურის — თავმჯდომარე ლეონიდე ილარიონის-ძე მახარაძე.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი რაიონის მოწინავე მეაბრეშუმეებმა — შუშანა როსტომის ასულმა ბაჯელიძემ (სოფელ ქვედა ბახვის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა), ნადეჟდა შალვას ასულმა ბერძენიშვილმა (სოფელ ბაღდათის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობა), ქეთევან ნიკიფორეს ასულმა ლომაძემ (ქ. მახარაძის კოლმეურნეობა „გზა კომუნიზმისაკენ“) და სხვებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ ასევე წარმატებით შესრულდება თქვენ მიერ ნაკისრი სხვა სოციალისტური ვალდებულებებიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის მდივანს ამხანაგ Ზ. Ხ. ᲚᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ასპინძის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ Ლ. Მ. ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔᲡ

საქართველოს ალკკ ასპინძის რაიკომის მდივანს ამხანაგ ნ. Მ. ᲒᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავენ თქვენ დიდ შრომითს წარმატებებს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის 104,0 პროცენტით, კვერცხის — 100,1 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის 150 პროცენტით შესრულებაში.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებანი მოპოვებულია კოლმეურნეთა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ორგანიზატორული მუშაობის, კოლმეურნეობათა შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს შემდეგი სოფლების კოლმეურნეობებმა: სოფელ ხიზაბავრის — თავმჯდომარე შალვა ირჩილის-ძე მიქელაძე, სოფელ იღუმალის — თავმჯდომარე ზაქარია ალექსანდრეს-ძე შაგაშვილი, ასპინძის — თავმჯდომარე კონსტანტინე ვასილის-ძე ბეგაძე და სხვებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ 1960 წლისათვის საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და მებაღეობის განვითარებაში, სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვაში, აგრეთვე ათი თვითღირებულების შემცირებაში თქვენ მიერ ნაკისრი დიდი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**



ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. ჩხოროწყუელმა მეჩაიეებმა შეაჯამეს ჩაის კრეფის შედეგები. მათ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით მოკრეფილი აქვთ 215 ტონით მეტი.სულ რაიონში მოკრეფილია 3.754 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სოფელ ხაბუის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მკრეფავმა ნათელა შენგელიამ ერთ დღეს 120 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. სულ დღემდე მოკრეფილი აქვს 5.377 კილოგრამი და იმისათვის იბრძვის, რომ სეზონში მოკრიფოს 9.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

სოფელ ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში თამუშა გოგუამ ერთ დღეს მოკრიფა 90 კილოგრამი ჩაის ნედლეული. კრეფის დღიური დავალება 200 პროცენტით შეასრულეს დუშა თოდუამ, ვენერა დარსალიამ და სხვებმა. თვითეული მათგანი შარშანდელთან შედარებით ყოველდღიურად კრეფს 5-6 კილოგრამით მეტს.

ᲕᲣᲛᲐᲢᲝᲗ ᲢᲔᲛᲞᲡ...

ᲐᲡ ორმოცდახუთი ათასი ტონა ჩაისათვის ბრძოლა ქართველი მეჩაიეების დიდებისა და ღირსების საქმედ იქცა. დღითიდღე იზრდება მწვანე ოქროს ზვინები, სულ უფრო მეტ და ხარისხოვან ნედლეულს იღებენ ჩაის ფაბრიკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით 15 ივლისისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 96.789 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. 1959 წლის ამავე პერიოდისათვის მოკრეფილი იყო 85.651 ტონა, ე. ი. წელს მოიკრიფა 11.088 ტონით მეტი. წლიური გეგმის შესრულება უდრის 70,1 პროცენტს, ივლისის გეგმისა — 61,7 პროცენტს. შარშან ამავე დროისათვის წლიური გეგმის შესრულება უდრიდა 64,9 პროცენტს, ივლისის გეგმისა — 45,1 პროცენტს.

შარშანდელთან შედარებით თვალსაჩინო წარმატებები აქვთ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს, აგრეთვე მეჩაიეობის მთელ რიგ რაიონებს. 15 ივლისისათვის სეზონის დაწყებიდან აჭარაში მოკრიფა 17.138 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აფხაზეთში — 16.086 ტონა. აჭარაში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული 72,6 პროცენტით, აფხაზეთში — 70,5 პროცენტით, ივლისის გეგმა აჭარაში — 62,6 პროცენტით, აფხაზეთში — 58,3 პროცენტით.

მეჩაიეობის რაიონებიდან დაწინაურდნენ მახარაძის, ჭობულეთის, ჩოხატაურის, გალის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის რაიონები. მაგალითად, მახარაძის რაიონში 15 ივლისისათვის მოკრეფილია 20.107 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, წლიური გეგმა შესრულებულია 73,4 პროცენტით, ჭობულეთის რაიონში — 12.813 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 73,5 პროცენტით, გალის რაიონში — 8.162 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 70,3 პროცენტით, ლანჩხუთის რაიონში — 5.419 ტონა, წლიური გეგმა შესრულებულია 70,4 პროცენტით და ა. შ.

ამრიგად, ჩვენს მეჩაიეებს მუშაობის ცუდი შედეგი როდი აქვთ, მაგრამ საჭიროა ჩაის კრეფის ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდეს. ზაფხულის ყოველი დღე, ყოველი საათი მეჩაიეებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, არ დაუშვან ჩაის ფოთლის გაუხეშება და სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი ნედლეული.

მხოლოდ კრეფის მაღალი ტემპი, თავდადებული შრომა უზრუნველყოფს გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებას.

მაღალი შრომითი მიღწევებით გაითქვა სახელი ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩაქვინჯას მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ გული ნარსიამ. გასულ წელს მან 0,5 ჰექტარ ნაკვეთზე 10.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. მიმდინარე სეზონში ცნობილმა მეჩაიემ ვალდებულება აიღო მოკრიფოს ერთი ტონით მეტი ფოთოლი, ვიდრე შარშან. მან სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 5.000 კილოგრამზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სურათზე: გული ნარსია.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. („კომუნისტის“ კორ.). აჭარელმა მეჩაიეებმა, რომლებიც დადგნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის აღსანიშნავ ვახტზე, სასახელოდ იშრომეს და ახალი წარმატება მოიპოვეს. განსაკუთრებით თავი ისახელეს ქობულეთელმა მეჩაიეებმა, რომლებიც წელს მეტი ჩაისათვის ბრძოლის ინიციატორებად გამოვიდნენ. მათ დიდი წვლილი შეიტანეს აჭარის მეჩაიეთა საერთო გამარჯვებაში. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ბათუმის რაიონის მეჩაიეებმა. მათ სამი თვის გეგმით გათვალისწინებული 4.306 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 4.318 ტონა. ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით გაანაღდეს ახალშენის, წინსვლის, ახალსოფლის, ჩაისუბნის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. ქობულეთის რაიონში შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ხუცუბნის, გვარას, ზენითის, ალამბრის კოლმეურნეობები.

ასეთი შრომის შედეგად აჭარის მეჩაიეებმა ვადაზე ჩვიდმეტი დღით ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა. სეზონის დაწყებიდან აჭარაში სულ მოკრეფილია 17.138 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებს შორის დაწინაურდა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა, რომელმაც მოკრიფა 1.915 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული, რაც 117 ტონით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე. ჩაის კრეფის დავალება ვადაზე ადრე შეასრულა ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. გეგმის გადამეტებით უკვე მოკრეფილია 40 ტონამდე ჩაის ფოთოლი.

აჭარელი მეჩაიეები აძლიერებენ კრეფის ტემპს და იმისათვის იბრძვიან, რომ ვადაზე ადრე შეასრულონ ჩაის კრეფის დარგში ნაკისრი წლიური ვალდებულება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲠᲝᲒᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

19 ივლისს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. მიქოიანმა, მ. ა. სუსლოვმა, ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერეს მოსკოვის მშენებლობის პროცესში მყოფი ირგვლივი საავტომობილო გზის ერთ-ერთი უბანი, რომელიც ნოვო-რიაზანსკის გზატკეცილის გადაკვეთის რაიონში მდებარეობს.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრმა ე. თ. კოტეგინკოვმა, სსრ კავშირის სახმშენის თავმჯდომარემ ვ. ა. კუჩერენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგემ ი. ა. გრიშმანოვმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ნ. დემიჩევმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა, ქალაქ მოსკოვის მთავარმა არქიტექტორმა ი. ი. ლევეიკომ და სხვებმა.

ახსნა-განმარტებას აძლევდა გზის მშენებლობის სამმართველოს უფროსი ა. მ. სიცკი. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 19 ივლისს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ე. ლ. ფრაირსი და გადასცა მისი ბრიგადის ნოტები.

ნოტაში ამერიკის მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მინისტრის ბ-ნი ბრაკერის შემდეგ ამერიკის ხსენებული ფედერაციული რესპუბლიკაში, აგრეთვე მათი განცხადებანი „პოლარისის“ რაკეტებით დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღების შესახებ წინასწარ განზრახული შეთანხმებული მოქმედებაა. იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოამზადონ შეშფოთებული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გამანადგურებელი რაკეტულ-ატომური იარაღით დასავლეთ გერმანიის აშკარა შეიარაღებისათვის.

ნოტაში ხაზგასმულია, რომ რაკეტული იარაღი დასავლეთ გერმანიის არმიის ხელში, რომელსაც ყოფილი ჰიტლერელი გენერლები მეთაურობენ, შეიძლება გამოიყენონ ახალი აგრესიისათვის.

საბჭოთა მთავრობა უაღრესად სერიოზულად აფრთხილებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ გზას, რომელზეც იგი დგება, შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის და რომ ამ შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდება განახორციელოს ისეთი საპასუხო ღონისძიებანი, რომლებსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს სსრ კავშირისა და მის მოკავშირე სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველსაყოფად, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ნოტაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ ამერიკა-დასავლეთ გერმანიის ახალი სამხედრო შეთანხმება გერმანიისათვის იმ ვალდებულებათა უაღრესად უხეში დარღვევაა, რომლებიც გამომდინარეობენ უსტაყვო კაპიტულაციიდან, აგრეთვე მოკავშირეთა შეთანხმებებისა გერმანიის შესახებ. სსრ კავშირის მთავრობა მოაგონებს, რომ უსტაყვო კაპიტულაცია მოკავშირე სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას განახორციელონ ყოველგვარი ღონისძიებანი, რომლებსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, რათა უზრუნველყონ გერმანიის დამარცხების შესახებ დეკლარაციის მიზნების უთუო შესრულება. საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა მისი ახლანდელი მოქმედების ყველა შესაძლო შედეგისათვის, აგრეთვე იმ საპასუხო აქციებისათვის, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ამ მოქმედებამ. (საკდესი).

ᲡᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲢᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ 19 ივლისს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი ე. ლ. ფრაირსი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის ნოტები.

ნოტაში ამერიკის მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბ-ნი შტრაუსის ამასწინანდელი მოგზაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრის ბ-ნი მ�-ის შემდეგომი ჩასვლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აგრეთვე მათი განცხადებანი „პოლარისის“ რაკეტებით დასავლეთ გერმანიის არმიის შეიარაღების შესახებ წინასწარ განზრახული შეთანხმებული მოქმედებაა. იგი ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოამზადონ შეშფოთებული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გამანადგურებელი რაკეტულ-ატომური იარაღით დასავლეთ გერმანიის აშკარა შეიარაღებისათვის.

ნოტაში ხაზგასმულია, რომ რაკეტული იარაღი დასავლეთ გერმანიის არმიის ხელში, რომელსაც ყოფილი ჰიტლერელი გენერლები მეთაურობენ, შეიძლება გამოიყენონ ახალი აგრესიისათვის.

საბჭოთა მთავრობა უაღრესად სერიოზულად აფრთხილებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ გზას, რომელზეც იგი დგება, შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის და რომ ამ შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდება განახორციელოს ისეთი საპასუხო ღონისძიებანი, რომლებსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს სსრ კავშირისა და მის მოკავშირე სახელმწიფოთა უშიშროების უზრუნველსაყოფად, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ნოტაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ ამერიკა-დასავლეთ გერმანიის ახალი სამხედრო შეთანხმება გერმანიისათვის იმ ვალდებულებათა უაღრესად უხეში დარღვევაა, რომლებიც გამომდინარეობენ უსტაყვო კაპიტულაციიდან, აგრეთვე მოკავშირეთა შეთანხმებებისა გერმანიის შესახებ. სსრ კავშირის მთავრობა მოაგონებს, რომ უსტაყვო კაპიტულაცია მოკავშირე სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას განახორციელონ ყოველგვარი ღონისძიებანი, რომლებსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, რათა უზრუნველყონ გერმანიის დამარცხების შესახებ დეკლარაციის მიზნების უთუო შესრულება. საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა მისი ახლანდელი მოქმედების ყველა შესაძლო შედეგისათვის, აგრეთვე იმ საპასუხო აქციებისათვის, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ამ მოქმედებამ. (საკდესი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც ამოქმედებს საბჭოთა ხალხის მეგობრული, ძმური გრძნობები კონგოელი ხალხისადმი, გადაწყვიტა გაუწიოს კონგოს რესპუბლიკას სასურსათო დახმარება.

19 ივლისს დილით სამი თვითმფრინავი ილ-18 მოსკოვიდან ლეოპოლდვილში გაფრინდა რომის—რაბატის—აკრის გაღლით. ამ თვითმფრინავებს მოაქვთ პირველი პარტია სურსათისა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა გზავნის კონგოს რესპუბლიკაში. უახლოეს დღეებში ოდესიდან კონგოში წავა ხორბლით, შაქრით და შესქელებული რძით დატვირთული გემი „ლენინგოგორსკი“.

განის მთავრობამ სსრ კავშირის აკრის საელჩოს მეშვეობით თხოვნით მიმართა საბჭოთა მთავრობას გაუწიოს დახმარება, რომ განიდან კონგოს რესპუბლიკაში გადაიყვანოს განის ჯარები, რომლებიც კონგოს რესპუბლიკაში იგზავნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

საბჭოთა მთავრობამ განის მთავრობის სურვილის დასაკმაყოფილებლად გადაწყვიტა შეასრულოს მისი თხოვნა.

ამ მიზნით განხორციელდება შემდეგი:

სამი საბჭოთა თვითმფრინავი ილ-18 მოსკოვიდან ლეოპოლდვილში (კონგოს რესპუბლიკა) სასურსათო დახმარების ჩატანის შემდეგ გაიგზავნება აკრაში და საჭირო რაოდენობით მოახდენს რეისებს განის ჯარების აკრიდან ლეოპოლდვილში გადასაყვანად. გარდა ამისა, განის ჯარების გადაყვანის მიზნებისათვის საბჭოთა მთავრობამ განის მთავრობის ხსენებული თხოვნის თანახმად დამატებით გამოჰყოს ორი თვითმფრინავი ილ-18, რომლებიც განაში ჩასვლისთანავე შეუდგებიან განის ჯარების გადაყვანას კონგოს რესპუბლიკაში.

ზეიმოგს გალტიისპირეთი

ა. გრენი,
ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე.

ოცი წლის წინათ 1940 წლის ზაფხულში ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო — ესტონეთი, ლატვია და ლიტვა — შევიდა საბჭოთა კავშირის მრავალეროვან ოჯახში, ზურგი შეაქცია ბურჟუაზიულ მმართველებს, რომლებმაც მოასწრეს ბალტიისპირეთი გადაექცია-ათ მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების დანამატად, ბითუმად და ცალობით უთმობდნენ ჩვენს სიმდიდრეებს უცხოეთის კონცერნებს. ცხრაას ორმოცი წლის უსისხლო რევოლუციის დროს მუშათა კლასმა, გლეხობამ და მოწინავე ინტელიგენციამ ამ ვა-ბატონებს გადაჭრით უთხრეს „კმარა!“.

რამდენიმე თვის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰერტერი თავია გამოსვლაში ამტკიცებდა, რომ ბალტიისპირეთის ხალხების მიერ 1940 წელს მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება თითქოს არ გაანხორციელებს მათს საკუთარ ნებას და ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ძალიან ბრძნულად იქცევიან, რომ არ ცნობენ ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში არსებულ საბჭოთა წყობილებას, არ ცნობენ ამ რესპუბლიკებს სსრ კავშირის შემადგენელ ნაწილად. რა თქმა უნდა, ბატონ ჰერტერს შეუძლია განაცხადოს ყველაფერი რაც მას მოეპრიანება, მაგრამ იგი აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს, არა სურს თვალი გაუსწოროს სინამდვილეს და მიხვდეს ასეთ განცხადებათა მთელ უაზრობას, რადგან, რა აგრესიული ხასიათისაც უნდა იყოს ეს განცხადებები, ჰერტერი საბჭოთა ბალტიისპირეთში გუშინდელ დღეს ვერ დაბრუნებს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს შეუძლია გამოდიოდეს იმათი სახელით, ვისაც იგი წარმოადგენს, მაგრამ გვინდა ვკითხოთ: ვინ მისცა მას უფლება ილაპარაკოს ესტონელების, ლატვიელებისა და ლიტველების მაგიერ, რა საფუძვლით ერევა იგი ბალტიისპირეთის ხალხთა საშინაო საქმეებში?!

ცხვირის არა თავის საქმეებში შეჩრის მოყვარულთათვის იქნებ საუკეთესო პასუხი იყოს ზოგიერთი ციფრი და მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენ მიერ ოცი წლის განმავლობაში მოპოვებულ მიღწევებს. კერძოდ გაგახსენებთ, რომ ამ ოც წელიწადზე მოდის ყველაზე დამანგრეველი ომის, ფაშისტური ოკუპაციის, უდიდესი მსხვერპლის და ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის, დანგრეულის აღდგენისათვის ტიტანური მუშაობის წლებიც. და მიუხედავად ამისა...

დიახ, მიუხედავად ამისა!..

ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ინდუსტრია ათჯერ გაიზარდა. ყველგან შენდება ახალი ქარხნები, ფაბრიკები, ენერგეტიკული კვანძები. ამ ცოტა ხნის წინათ ჩადგა მწყობრში ბალტიისპირეთის



მძლავრი ელექტროსადგურის პირველი ბლოკი. უახლოეს დროში საბჭოთა ესტონეთი გახდება ერთ-ერთი ყველაზე ელექტროფიცირებული, ყველაზე გამუქებული მოკავშირე რესპუბლიკა. უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენ გავაბით ექვსასი კილომეტრი მაღალვოლტიანი ხაზები. ნავთის ლამპა მალე საბოლოოდ გაქრება ესტონეთის მიწაწყლიდან. ჩვენი მეზობლები კი? ლატვიელებსა და ლიტველებსაც ბევრი რამ აქვთ სათქმელი თავიანთ წარმატებათა შესახებ. აი, მაგალითად, ასეთი ფრიად საგულისხმო ციფრი: **მარტო გასულ წელს ლატვიის მრეწველობამ აითვისა 500-მდე ახალი ნიმუშის ნაკეთობა.** და ჩემთვის გასაგებია ის სიამაყე, რომლითაც ლიტველი მუშები უჩვენებენ მათი ხელით გაკეთებულ გემებს, ლითონდასამუშავებელ ჩარხებს, ელექტრომოტორებს, ტურბინებს და ბევრ სხვა რამეს, რაც ამ მხარეში წინათ არ კეთდებოდა.

ჩვენს ლექსიკონში სამუდამოდ გაქრა სიტყვა „უმუშევრობა“. უფროსი თაობის ესტონელებს დღემდე ახსოვთ 1932 წელი, როცა ამ პატარა ქვეყნის 32.000 მცხოვრები მოკლებული იყო ლუკმაპურს. ჩვენს ძმებს ლიტველებსაც, შეუძლიათ მოაგონონ ბატონ ჰერტერს, რომ მის მიერ ნაქები „თავისუფლების“ დროს კაუნასისა და ლიტვის სხვა ქალაქების ყოველი მეოთხე მცხოვრები ფაბრიკის კართან იდგა და მუდარით ითხოვდა სამუშაოს, მაშინ გლეხები მომჭირნეობისათვის ასანთს შუაზე ხლეჩდნენ და ბინებს კვარით ანათებდნენ. „რაზე ოცნებობდა მშრომელი გლეხი, ვთქვათ ოცი წლის წინათ?“ — კითხულობდა ლიტველი მწერალი ა. ვენუოლისი და უპასუხებდა: „იმაზე, თუ როგორ წაერთმია მცირემოსავლიანი მიწისათვის ზედმეტი ლუკმაპური, როგორ შეემოსა ბავშვები, როგორ მოეგროვებინა თუნდაც მცირედი მზითევი გასათხოვარი ქალიშვილისათვის, როგორ ეშოვნა ორიოდე ცენტი, რომ წვეთი ნავთი ან ერთი მუჭა მარილი ეყიდნა...“

ასეთი უნუგეშო წარსულის ფონზე ის წარმატებები, რომლებიც მიღწეულია საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს. ეს ეხება ქალაქსაც და სოფელსაც. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ის დონე, რომელსაც ბალტიისპირეთში ბურჟუაზიული ნაციონალისტები იკვეხნიდნენ, ბევრად არის გადაჭარბებული. თუ **1939 წელს ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე ლიტვაში წარმოებული იყო 231 ცენტნერი რძე, შარშან, დაახლოებითი გამოანგარიშებით, მიღებულია უკვე 420 ცენტნერი.** ლატვიის კოლმეურნეობებში წველადობა კიდევ უფრო მაღალია: საშუალოდ 515 ცენტნერი. ესტონელი კოლმეურნეები ახლა სახელმწიფოს გაცილებით მეტ რძეს, ხორცს, კვერცხს ჰყიდიან და განუწყვეტლივ მზარდ შემოსავალს იღებენ.

ცხოვრების რა დარგშიც უნდა შეეხიდოთ, ყველგან დავინახავთ დამახასიათებელ ნიშანს: ეს არის სულ უფრო მკვეთრი აღმავლობა, მუდმივი, დაუცხრომელი სწრაფვა წინ. ასეთია საქმის ვითარება ჩვენი კულტურის მხრივაც. **უკანასკნელ ოთხ წელიწადში ესტონეთის სსრ უმაღლესმა სასწავლებლებმა მეტი სპეციალისტი გამოუშვეს, ვიდრე ბურჟუაზიული რესპუბლიკის ოცი წლის მანძილზე.** საბჭოთა ხელისუფლებამ ინსტიტუტების კარი გაუღო იმათ, ვისაც კაპიტალისტური წყობილების დროს მხოლოდ ოცნება შეეძლო განათლების მიღებაზე. ლატვიაში ათას მცხოვრებზე 21 კაცია უმაღლესი სკოლის დიპლომებით ნაცვლად 1939 წლის 7 კაცისა. **ანალოგიური სურათია ლიტვაში, სადაც ათას მცხოვრებზე სტუდენტთა რიცხვი 2-3-ჯერ მეტია, ვიდრე საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში.**

ამბობენ, რომ წიგნებს, ისევე როგორც ადამიანებს, თავიანთი ბედი აქვთ. თუ ასეა, მაშინ ჩვენს რესპუბლიკაში წიგნების ბედი ყველაზე სახარბიელოა. წიგნი ყოველ სახლში შევიდა, იგი სულ უფრო მეტ გავლენას იძენს ახალი ეპოქის ადამიანთა ჩამოყალიბებაზე. ესტონეთის მოსახლეობა, როგორც ცნობილია, დიდი არ არის, დედაენაზე გამოშვებული თანამედროვე ეროვნული პროზა კი 21.000-28.000 ცალის რაოდენობით იყიდება, პოეტური კრებულები — 6.000-9.000 ცალის რაოდენობით. საშუალოდ თვითეული ესტონელი მეტ წიგნს იძენს, ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყნის მოქალაქე. აი დამაჯერებელი დადასტურება კულტურული რევოლუციისა, რომელიც ჩემს ქვეყანაში ოცი წლის მანძილზე მოხდა!

ბალტიისპირეთის რომელიც განებავთ რესპუბლიკის ყოველ ადამიანს შეგნებული აქვს, რომ მთელი ჩვენი მიღწევები წარმოუდგენელი იქნებოდა, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების მხრივ მეგობრობისა და დახმარების გარეშე. ჩვენ ვამაყობთ ამ მეგობრობით, რომელიც საბჭოთა ბალტიისპირეთის ხალხთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი წყაროა.

ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების XX წლისთავი

მართალი, ცხოვრებისეული...

აგიტატორი ცირა ბაბუციძე
და მისი საქმეები

ცირამ შესვენების დროს ბიბლიოთეკის კარი გაიხურა და სოფლის განაპირა ფერდობს მიაშურა. შეადგენა. ივლისის მზე უხვად აფრქვევს სხივებს. ახალგაზრდა გოგონამ ლისიანის ნაკვეთები გადაიარა და მუხის ჩრდილში თავმოყრილი ქალებისაკენ აიღო გეზი.

— მოდის ჩვენი ცირა, ახალ ამბებს მოგვიტანს, — ახმაურდნენ კოლმეურნეები ცირას გამოჩენაზე. ქერათმიან ჭაბუკს გაზეთების დანახვაზე მოთმინება არ ეყო და აგიტატორის შესახვედრად წამოხტა.

— წაიკითხე? ბევრი ახალი ამბებია.

ჭაბუკმა ხარბად გაშალა გაზეთი და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— მოხვედი, ცირა? ამა ჩვენს ქალებს რაიმე ახალი უთხარი, — მიმართა აგიტატორს ბრიგადირმა შალვა ჭულუხაძემ. თოხი ბეჭზე მიაყუდა და თავშალწაკრული ქალებთან ჩამოჯდა.

აგიტატორთან ჭარხლის ნათესებში მომუშავე კოლმეურნეებიც მოვიდნენ. ცირამ გაზეთი გადაშალა, ხის ძირას მწვანეზე ჩამოჯდა.

— ჩვენი დღევანდელი საუბარი, — თქვა მან, — შეეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალებს, რომელმაც ამ დღეებში შეაჯამა მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების შედეგები პარტიის XXI ყრილობის შემდეგ განვლილი წლინახევრის მანძილზე,— ეს არის მუშაობაში კონკრეტულობისა და მიზანსწრაფვის ნათელი მაგალითი. პლენუმმა დასახა დიდი ღონისძიებები ტექნიკური პროგრესის ტემპების ყოველმხრივ დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისათვის, მრეწველობისა და ტრანსპორტისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

ცირა თანმიმდევრულად უყვება კოლმეურნეებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებზე, განაზოგადებს და ანალიზს უკეთებს ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებს მშობლიური კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის ცხოვრებიდან.

აგიტატორმა გაზეთი დაკეცა და პატარა ბლოკნოტს ჩახედა.

— მე ახლა გადავხედე ჩვენი ბრიგადის შაქრის ჭარხალს. ჯანსაღი, ღონიერი პლანტაციაა. ეს იმის შედეგია, რომ ბრიგადამ მოკლა-პატრონობა არ მოაკლო ნათესს. აგერ ჩემს გვერდით ზის მზია ჭულუხაძე. მაგის ნაკვეთი დიდი გულმოდგინეობით არის დამუშავებული. ახალგაზრდა მზიამ საშუალო სკოლა დაამთავრა. იგი ენერგიული შრომით განმტკიცებს მშვიდობის საქმეს. წელს ჰექტარზე გადაყვანით სულ ცოტა 550-600 ცენტნერი შაქრის ჭარხალი უნდა მიიღოს.

დამსწრეებმა მზიას შეხედეს. მან თავი ჩაღუნა და გაწითლდა.

— ყოჩაღია მზია, ყოჩაღი! — თქვა 79 წლის მოხუცმა მიხა ხაბარელმა, რომელსაც არაერთხელ მიუცია მითითება მზიასთვის შაქრის ჭარხლის მოვლის წესების შესახებ.

— ჩემი შვილიც ყოჩაღია, ნახეთ როგორ მუშაობს ფერმაში, — ჩაილაპარაკა თოხზე დაყრდნობილმა გლახო ხეთაგურმა.

— მართალია, მართალი, — დაუდასტურეს ახალგაზრდებმა.

— ჩვენს ბრიგადაში, — განაგრძობს აგიტატორი, — კარგად მუშაობდა თამარ ჯულუხაძე. იგი ახლა ძეცხოველეობის ფერმაში გადაიყვანეს. აქებენ მწველავები თამარს, ეს თქვენი ბრიგადის სახელიაო. აგერ დღეს სიმინდის თოხნაზე ვართ. ბრიგადირი ქმაყოფილია ზალმარ ხეთაგურის მუშაობით. იგი ამბობს: ზალმარი ყველას სჯობსო. განა სასახელო არ არის 20 წლის გოგონას ასეთი სიყვარული შრომისადმი?

— დღეს პირველ თოხნას გამთავრებთ და ხვალიდან მეორედ უნდა მოვუქნიოთ თოხი უკვე ერთხელ გათოხნილ სიმინდს. მაშ, თოხმა უნდა მოიყვანოს მოსავალი! — ხმამაღლა თქვა ბრიგადირმა!

ოცი ჰექტარი სიმინდი და 5,5 ჰექტარი შაქრის ჭარხალი აქვს მოსავლელად მიჩენილი ამ ბრიგადას და სანამუშოდაც უკვლია. ახლა ნახეთ ამ ბრიგადის დახუნძლული 7 ჰექტარი ბალი! ადამიანის მუყაითი ხელი იგრძნობა ყველგან, ნიადაგის დამუშავების თუ წამლობის, ძირების შეთითრებისა თუ გასხვლის დროს.

— ბრიგადა კარგად მუშაობს, მაგრამ ზოგიერთებს მეტი სიბეჯითე სჭირდებათ. აი ილო ხაბარელი. მართალია, იგი ბოლო დროს უკეთ მუშაობს, მაგრამ სხვებს მაინც ვერ უსწორებს მხარს.

— გოგონების ოდენას ხომ აკეთებს? — ჩაიჩურჩულეს მოხუცებმა.

— მეტი შეუძლია და მეტიც უნდა გააკეთოს, — თქვა აგიტატორმა.

— ბალ-ბალებში ილოს საქმეზე ... ბალ-ბალებში ილოს საქმეზე ... ბალ-ბალებში ილოს საქმეზე ...

ნიუ-იორკი, 19 ივლისი, (საკდესი). ეუშინ დღისით შეიკრება უშიშროების საბჭო, რომელიც მოწვეულია კუბის მთავრობის თხოვნით კუბის რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განუწყვეტელი მუქარის, რეპრესიებისა და აგრესიული აქტების შედეგად წარმოქმნილი ვითარების განსახილველად, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

კუბის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის შენობის ირგვლივ გაიმართა კუბელი ხალხისადმი სოლიდარობის დემონსტრაცია. დემონსტრანტები ხმამაღალა გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს კასტროს!“.

სხდომაზე პირველი გამოვიდა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა, რომელიც მოწვეულია მისი მთავრობის მიერ წამოყენებული საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის. კუბის წარმომადგენელმა ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ის ცდები, რომ არ დაუშვან კუბის საჩივრის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ საფუძველზე, რომ ამერიკა-კუბის ურთიერთობა უწინარეს ყოვლისა უნდა განხილოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ, სადაც ამერიკის შეერთებულ შტატებს გადამწყვეტი მდგომარეობა უკავიათ. ეროომ განაცხადა, რომ აბსურდული და ანალოგიკური იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მიერ უშიშროების საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი საჩივრები თავდაპირველად უნდა გადაეცეს ამ ორგანიზაციას განსახილველად.

შემდეგ შეეხო რა საკითხის ნამდვილ ფუძეს, კუბის წარმომადგენელმა ბრალი დასდო შეერთებულ შტატებს, რომ ისინი ცდილობენ დაფარონ თავიანთი ნამდვილი მიზნები კუბის მიმართ, რათა გამამართლონ თავიანთი რეპრესიებისა და აგრესიების პოლიტიკა. ამახინჯებენ რა კუბის რევოლუციის ხასიათს, ისინი ცდილობენ განაცალკევონ და მოსპონ კუბელი ხალხის რევოლუციური მოძრაობა, იყენებენ რა იმავე მეთოდებს, რაც მათ გვატემალის მიმართ გამოიყენეს. მაგრამ, აღშფოთებით განაცხადა მან, კუბა გვატემალა როდია, და ისტორია არ განმეორდება.

მას შემდეგ, განაგრძო ეროომ, რაც კუბის ხელისუფლებას სათავეში რევოლუციური მთავრობა ჩაუდგა, შეერთებულ შტატებმა მმართველი წრეებნა, რომლებმაც მტკივნეი ჩამობერტყეს ყბადაღებულ „მონროს დოქტრინას“, წამოიწყეს ზეგავლენის, დაშინებისა და მუქარის კამპანია.

მოიყვანა რა ამერიკის ოფიციალური პირების ამასწინანდელი განცხადებანი იმის შესახებ, რომ კუბა თითქოსდა გადაიქცევა საბჭოთა კავშირის „სატელიტად“ და რომ იქ იქმნება საბჭოთა კავშირის ბაზები, საგარეო საქმეთა მინისტრმა აღშფოთებით განაცხადა, რომ ამგვარ განცხადებათა მიზანია გაამართლონ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული აგრესია მისი კვეყნის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, თქვა მან, უნდა გავიხსენოთ, რომ უცხოელთა ერთადერთი ბაზა კუბაზე ამერიკელთა ბაზაა.

რაულ როამ ჩამოთვალა კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციულ მოქმედებათა მრავალი შემთხვევა, რაც უკანასკნელ დროს მოხდა. მან გაიხსენა ამერიკის „თვითმფრინავების შეჭრა კუბის საჰაერო სივრცეში, დაბომბვის შედეგად შაქრის პლანტაციების განადგურება, კუბისათვის იარაღის მიყიდვაზე ემბარგოს დადება და სხვა კვეყნებზე ზეგავლენა, შეიარაღებული აგრესიით დამეჭრება, თქვა მან, დღითიდღე სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება კუბელი ხალხისათვის.

როამ მკვეთრად დაგმო ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება ჟუბის შაქრის იმპორტზე ქვოტის შემცირების შესახებ, გადადგა რა ასეთი ნაბიჯი, თქვა მან, დიდმა სახელმწიფომ დაარღვია თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებანი, რათა შეებღალა პატარა ქვეყნის სუვერენიტეტი, კეთილდღეობა და პროგრესი.

კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ყურადღება მიაქცია ეკონომიური აგრესიის ისეთ გამოვლინებებსაც, როგორიცაა კუბის ბანკებისადმი კრედიტის გაუქმება, კუბის ბანკის აქციების გაყიდვა და ცდები — დატოვონ კუბა უნაკუთნობოდ, რათა შეაფერხონ მისი ეკონომიკა. ამასთან დაკავშირებით მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელთანაც კუბამ დადო საავჭრო შეთანხმება, უფრო იაფად მიაწოდა კუბას ნავთობი და ამით გადაარჩინა სახელმწიფო ინგლის-ამერიკის ნავთობის ბლოკადას.

დასასრულ როამ თქვა, რომ აღვილი როდია კუბელი ხალხის შეშინება ან განადგურება. კუბა ყოველთვის მზადაა წინააღმდეგობა გაუწიოს ყველა დამპყრობელს, რომლებიც გაბედავენ გამოჩნდნენ ამ ქვეყნის ნაპირებთან. კუბა ერთადერთი როდია. მისი ბედი — ლათინური ამერიკის ყველა ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ხალხის ბედია.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ლოჯმა, რომელიც უსაფუძვლოდ ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს არ განუხორციელებიათ არავითარი აგრესიული მოქმედება კუბის წინააღმდეგ. მან განაცხადა, რომ ჟუბის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა იმ თვითმფრინავების მიერ, რომელთა ბაზა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზეა, თითქოს ხორციელება „ამერიკელ ხელისუფალთა უაღრესად მკაცრი კონტროლის მიუხედავად“. ამერიკის ბევრი ოფიციალური პირის ანტიკუბური გამოსვლები ლოჯმა გაამართლა „სიტყვის თავისუფლებით“. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა თქვა, რომ ამერიკის კომპანიების მიერ უარის თქმა — კუბაზე შეასრულონ კუბის მთავრობის მითითება ნავთობის გადამუშავების შესახებ — „ეკონომიური აგრესიის აქტი არ ყოფილა“, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ კუბის შაქრის იმპორტზე ქვოტის მკვეთრი შემცირება თითქოსდა იყო „თავდაცვის ღონისძიება“.

ამერიკის წარმომადგენელმა თვალთმაქცურად განაცხადა, „რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „თანაუგრძნობს“ რევოლუციურ „გარდაქმნებს კუბაში და რომ მას „გაუხარდა“ ბატისტას სისხლიანი დიქტატურის დამხობა და ხელისუფლების სათავეში კასტროს სახალხო-რევოლუციური მთავრობის ჩადგომა. ლოჯის სიტყვით, სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარნენ კუბას „დამოუკიდებლობის მოპოვებაში“ გასული საუკუნის ბოლოს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც ღღეს წერს გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“, სხვა არაგინ, თუ არა თვით ამერიკის შეერთებული შტატების გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახლანდელი წარმომადგენლის ლოჯის ბაბუა იყო „ერთ-ერთი ახალგაზრდა იმპერიალისტთაგანი“, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ესპანეთ-ამერიკის ომის მომზადებაში, რომლის შედეგადაც მოისპო ესპანეთისაგან კუბის კოლონიური დამოკიდებულება და დამყარდა ამერიკული მონოპოლიების განუყოფელი ბატონობა ამ კუნძულზე.

ლოჯი შეეცადა საბჭოთა კავშირის მტკიცე მხარდაჭერა დამოუკიდებლობისათვის კუბელი ხალხის ბრძოლისადმი წარმოედგინა როგორც „საფრთხე“ დასავლეთ ნახევარსფეროს მიმართ და კვლავ დაიმოწმა ყბადაღებული „მონროს დოქტრინა“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მოუწოდა უშიშროების საბჭოს არავითარი ღონისძიება არ მიიღოს კუბის საჩივრის გამო მანამ, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კუბის კონფლიქტს არ განიხილავს ამერიკის სახელმწიფო თა ორგანიზაცია. ამავე დროს, ამერიკული პრესა იუწყება, რომ ახლა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უძლიერეს ზეგავლენას ახდენს ლათინური ამერიკის კვეყნების მთავრობებზე, რათა ამ კვეყნებმა „განკიცხონ“ კუბა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ სხდომაზე.

არგენტინის წარმომადგენელი მარიო ამადეო მოუწოდებდა იმპერიალისტური შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ურიერთობაში „პარმონიისაკენ“. თავისი დელეგაციისა და ეკვადორის დელეგაციის სახელით მან შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეესაბამება ამერიკის მთავრობის გეგმებს, მთავრობისა, რომელიც მიისწრაფვის, რათა გაგრძელდეს პოლიტიკური და ეკონომიური ზეგავლენა კუბის მიმართ. პროექტში გათვალისწინებულია, რომ უშიშროების საბჭომ გადადოს კუბის მთავრობის საჩივრის განსალვა „ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მოხსენების მიღებამდე“, რომელიც განიხილავს ამერიკა-კუბის კონფლიქტის საკითხს. რეზოლუციის პროექტი მოუწოდებს „ყველა სხვა სახელმწიფოს თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომლებიც გაამწვავებდა დაძაბულობას, რაც კუბისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში არსებობს, და ურჩევს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს „ხელი შეუწყონ ახლანდელი მდგომარეობის მშვიდობიანი გადაჭრის მიღწევას“. ასეთივე სულისკვეთებით გამოვიდა ეკვადორის დელეგატი კორეა.

იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი „ვერ ხედავენ კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების ფაქტებს“. ისინი მიემხრნენ იმ აზრს, რომ შეჩერდეს კუბის საჩივრის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამერიკა-კუბის ურთიერთობის საკითხი განსახილველად გადაეცეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას. ეიზენჰაუერის და ტუნისის დელეგატებმა, ზოგიერთი შენიშვნით, მხარი დაუჭირეს არგენტინისა და ეკვადორის რეზოლუციის პროექტს.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის წარმომადგენელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭოს განსახილველად შეტანილი საკითხი უეჭველად საყოველთაო ზრუნვის საგანია და ეხება პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიური ხასიათის დიდმნიშვნელოვან პრობლემებს. შეერთებული შტატების მოქმედება და ძალის დემონსტრაცია კუბის ტერიტორიაზე მისი საზღვრების მახლობლად, საფრთხეს უქმნის მშვიდობას დედამიწის ამ რაიონში. პოლონეთის დელეგატმა თქვა, რომ იგი იტოვებს უფლებას უფრო გვიან გამოთქვას ახალი ლათინური ამერიკის ორი სახელმწიფოს რეზოლუციის გამო.

ნიუ-იორკი 19 ივლისი. (საკდესი). ღღეს უშიშროების საბჭომ განაგრძო კუბის რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხის განხილვა. ღღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი.

კუბა ნიღაბს ხდის ამერიკელ აგრესორებს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

◎

ფიდელ კასტრო: „შეუძლებელია კუბელი ხალხის დაჩოქება“

ჰავანა, 20 ივლისი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ტელევიზიით და რადიოთი. მან განმარტა, თუ რატომ მიმართა კუბამ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებებზე საჩივრით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და არა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თქვა ფ. კასტრომ, — გაცილებით უფრო ფართო საერთაშორისო ორგანოა, ვიდრე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წარმოდგენილი არიან მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები. ხოლო რამდენადაც სამე ეხება დავას შეერთებულ შტატებთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მათი გავლენა ლათინური ამერიკის მმართველ წრეებზე; ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში ამ დავის ჯარიზვის დროს კუბა აღმოჩნდებოდა. არახელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან ამ ორგანიზაციაში შეერთებულ შტატებს შეუძლიათ გამოიყენონ და იყენებენ მთელ თავიანთ გავლენას. სწორედ ამიტომ, თქვა კასტრომ, შეერთებული შტატები ცდილობენ საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გადასცენ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას.

შემდეგ კასტრომ თქვა, რომ შეერთებული შტატები, რომლებმაც გამოაცხადეს ამკრძალ ლათინური ამერიკისადმი ეგრეთწოდებული ეკონომიური დახმარების გეგმა, ამით ცდილობენ მოისყიდონ მისი ხალხები დაპირებებით, დაარღვიონ მათი სოლიდარობა კუბასთან. შეერთებულ შტატებს სურთ თავიანთი ფულის ტომარა გამოიყენონ, რათა დაუპირისპირონ სიმართლის ძალას, რომელსაც კუბა ეურნობა. ამით ისინი აღიარებენ თავიანთ მორალურ დამარცხებას, თქვა კასტრომ.

შეეხო რა შემდეგ შეერთებული შტატების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეჩაციონონ კუბის შაქრის ქვოტები, კასტრომ აღნიშნა, რომ ამ ნაბიჯს ორი მიზანი აქვს. ჯერ ერთი, ამ მანევრის საშუალებით ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდნენ გაექარწყლებინათ კუბის წარმატება ეკონომიკის დარგში და, მეორე, დაეინტერესებინათ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები, რომლებიც შაქარს აწარმოებენ,—სთავაზობდნენ რა იმ შაქრის მათგან შესყიდვას, რომლის ყიდვაზე კუბისაგან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს, რათა ეს ქვეყნები გადაექციათ კუბის საწინააღმდეგო შეთქმულების თანამონაწილეებად.

შემდეგ ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებანი კუბის წინააღმდეგ ერთიმეორეს მოსდევდა, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის არც ერთ მმართველს კრინტიც კი არ დაუძრავს იმაზე, რომ საჭიროა ამ მოქმედების განხილვა რომელიმე საერთაშორისო ორგანოში. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის განცხადება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი დახმარებას გაუწევს კუბას მის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში, მათ სამაბად გამოიყენეს, რათა აგრესორის მხარეზე დამდგარიყვნენ, რათა მიეჩქმალათ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედები. ამ მმართველებს, ხაზგასმით აღნიშნა კასტრომ, სერთო არა აქვს რა ხალხებთან. მათ მართავენ ვაშინგტონიდან. მათ სურთ, რომ ჩვენ უარი ვთქვათ მხარდაჭერაზე, რომელსაც გვიწევენ, რომ თავი გავყოთ ყულფში, რომელიც გაგვიმზადა ჩვენმა ძლეგამოსილმა ჩრდილოეთელმა მეზობელმა.

საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ კასტრომ, არასოდეს არ დასხმია თავს ლათინური ამერიკის არც ერთ ქვეყანას, ამავე დროს ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა უკანასკნელ ათწლეულში იყო ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მსხვერპლი, მათ შორის გვატემალა, დომინგოს რესპუბლიკა, ნიკარაგუა და სხვები. აგრესორები არიან ჩვენს კონტინენტზე. სწორედ მათ უნდა გადავუღობოთ ბაზა, სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა მივიღოთ ღონისძიებანი, რამდენადაც მათ დაიწყეს აგრესია კუბის წინააღმდეგ.

კასტრომ აღნიშნა, რომ ახლა შეერთებული შტატების მიერ მონროს ძარმომპალი დოქტრინის გამოცხადება ლათინური ამერიკის ხალხების შეურაცხყოფაა. ამით ხომ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ თავს აცხადებენ ლათინური ამერიკის უმაღლეს მოსამართლედ და მეურვედ, სურთ მოგვაქციონ თავიანთ მეურვეობაში, თავიანთ პროტექტორატად აქცევენ ლათინურ ამერიკას. ამ დოქტრინის საშუალებით, განაცხადა კასტრომ, ისინი ცდილობენ მიიკაუთვნონ ლათინურ ამერიკაში მეკობრული მოქმედების უფლება. მაგრამ თუ ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებენ მონროს დოქტრინას, ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს დოქტრინას — ლათინური ამერიკის ხალხთა თავისუფლების დოქტრინას.

ილაპარაკა რა ჟურნალ „ბოემიას“ დირექტორის კაგდოს ლალატზე, რომელმაც თავი შეაფარა ვენესუელის საელჩოს, კასტრომ ამხილა ისინი, ვინც, ეფარება რა ანტიკომუნიზმის ნიღაბს, ადგება სამშობლოსა და რევოლუციის ღალატის გზას. კასტრომ წაიკითხა კაგდოს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ თითქოს კუბა გახდა ვასალურად დამოკიდებული საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმზე. ამ ვაუბატონისათვის, თქვა კასტრომ, საბჭოთა კავშირზე ვასალური დამოკიდებულება არის ის, რომ ჩვენ ვყიდულობთ მისგან ნავთობს და ვყიდით შაქარს, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი ნებით განაცხადა, რომ დაიცავს კუბას, თუ მან აგრესია განიცადა. რა საუფეველი აქვს ამ ვაუბატონს ილაპარაკოს, რომ ჩვენ ვასალურად დამოკიდებული ვართ სხვა ^ქვეყანაზე? რა პრობლემები შეიძლება გვქონდეს ჩვენ საბჭოთა კავშირთან, თუ არც ერთ საბჭოთა ადამიანს, არც საბჭოთა კავშირს არ აქვთ არც ერთი მტკაცული მიწა კუბაში, არავითარი დიდი ინტერესები, თუ მათ არა ჰქონდათ აქ არც სატელეფონო კომპანიები, არც ელექტროკომპანიები? ჩვენ სადავო პრობლემები გაგვიჩნდა მხოლოდ იმათთან, ვის ინტერესებსაც შეეხო კუბის რევოლუცია. რევოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ მხოლოდ ისინი, ვინც აქ დაჰკარგა თავისი ლატიფუნდიები, თავისი პრივილეგიები.

ჩვენ არ შეიძლება გვქონდეს რაიმე სადავო პრობლემა საბჭოთა კავშირთან, რადგან ერთადერთი მისი საკუთრება, რომელიც კუბელებმა ნახეს კუბაში, იყო საბჭოთა გამოფენაზე ჩამოტანილი ვერტმფრინავი, რომელიც ჩვენ დაგვიტოვეს მოქმიანის გამეზავრების შემდეგ.

განა საბჭოთა კავშირი თავს დაესხა კუბას, განა მას უნდოდა უნაკუთნობოდ დაეტოვებინა კუბა, განა მან შეიმუშავა ეკონომიური აგრესიის გეგმა? ახლა ცდილობენ ბრალი დაღონ საბჭოთა კავშირს. მაგრამ ისინი, ვინც ამას სჩადის, იმედს ამყარებს ამერიკის საზღვაო ქვეითს ჯარზე; მაგრამ მათ განზრახვას გააქარწყლებენ ახალი რევოლუციური კანონები.

დასასრულ კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეუძლებელია კუბელი ხალხის დაჩოქება. კუბის ხალხი, თქვა მან არ ნებდება და მისი მოსყიდვა არ შეიძლება.



რაც არ გერგებაა, არ შეგერგებაა. ნახ. მ. აბრამოვისა.

საუბარი ადენაუერის კართან



„დიახ, ბატონი კანცლერი ჩინებულად გრძნობს თავს, მაგრამ, ღვთის გულისათვის, მასთან საუბარში ნურც ლი სინ მასს ახსენებთ, ნურც მენდერესსა და ნურც ბატონ კისის!“

(„დეილი ექსპრესი“, ლონდონი)

ასეთია ხალხთა მოთხოვნა

ბრიუსელი, 20 ივლისი. (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის მთავრობამ, მსოფლიო და ბელგიის საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად, რომ კონგოდან გაეყვანათ ბელგიის შეიარაღებული ძალები, დღეს, როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ბელგიის ჯარის ქვეგანაყოფები, რომლებიც ლეოპოლდვილის რაიონში არიან, უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ბაზებს კონგოს შიდა რაიონებში.

მდელვარებით ადევნებენ ხალხები თვალყურს საგანგაშო ამბებს აფრიკის დამოუკიდებელ კონგოს სახელმწიფოში. ისინი მრისხანედ გმობენ ბელგიელ კოლონიზატორთა უხეშ აგრესიას ამ ქვეყნის წინააღმდეგ. თანაგრძნობით ეკიდება მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა კუბელ ხალხს, რომელიც იცავს თავის დამოუკიდებლობას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ცდებისაგან. ხელები შორს კუბისა და კონგოსაგან! — ასეთია ხალხთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

როგორც ბეერუთიდან იუწყებიან, ლიბანის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის განცხადებაში, რომელიც იქ 19 ივლისს გამოქვეყნდა, გამოთქმულია პროტესტი იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ კონგოსა და კუბაში. განცხადებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ „ამერიკის იმპერიალიზმის განუწყვეტელი მუქარა კუბელი ხალხის მიმართ და იმპერიალისტური აგრესია კონგოელი ხალხის წინააღმდეგ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღმაშფოთებელ დარღვევას და საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში. ლიბანის მშვიდობის მომხრეები თავიანთ ხმას უერთებენ მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის ხმას და მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან შეწყვეტონ აგრესია იმ ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან“.

გვინეის ახალგაზრდული ორგანიზაციის „აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების ახალგაზრდობის“ ეროვნულმა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ამხილებს და გმობს ბელგიელ კოლონიზატორთა მიერ კონგოს სუვერენიტეტის ხელყოფას. გვინეის ახალგაზრდობა, ნათქვამია რეზოლუციაში, სოლიდარობას უცხადებს კონგოელ ხალხს და კერძოდ ამ ქვეყნის ახალგაზრდობას და მოუწოდებს აფრიკის მთელ ახალგაზრდობას გადაჭრით ამხილოს ბელგიელ კოლონიზატორთა ხრიკები. რეზოლუცია შეიცავს მოთხოვნას კონგოდან ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ, აგრეთვე მოწოდებას მოიკოტი გამოუცხადონ ბელგიის საქონელს. გვინეის ახალგაზრდობა, ნათქვამია დასასრულ რეზოლუციაში, კონგოს ხალხისა და მისი მთავრობის განკარგულებაშია და მზად არის დაიცვას კონგოს ეროვნული ინტერესები.

გვინეელი ხალხი გულისწყრომით გმობს ბელგიელ კოლონიზატორთა ხრიკებს და აცხადებს, რომ მხარს უჭერს გვინეის მთავრობის პოზიციას, რომელიც იცავს კონგოელი ხალხის ინტერესებს. მდგომარეობა კონგოში განიხილა დემოკრატიული პარტიის კონფერენციამ კონაკრიში. გამოსულმა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს გვინეის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის მოქმედებას და გადაჭრით მოითხოვეს ბელგიის ჯარების გაყვანა კონგოდან.

გვინეაში ფართოვდება მოხალისეთა მოძრაობა, რომელიც აცხადებენ, რომ მზად არიან იარაღით ხელში დაიცვან კონგოს დამოუკიდებლობა.

არგენტინის ერთ-ერთმა უდიდესმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ „პროფკავშირთა მოქმედების ერთიანობისა და კოორდინაციისათვის მოძრაობამ“ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მხარს უჭერს კუბელი ხალხის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. „კუბის მთავრობა, რომელიც სათავეში უდგას მთელ კუბელ ხალხს, — ნათქვამია განცხადებაში, — ახორციელებს რევოლუციას, რომლის საფუძველია კუბის სიმდიდრის ნაციონალიზაცია და მიწის სამართლიანი განაწილება“. პროფკავშირული გაერთიანება აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს არგენტინის პროფკავშირებში „კუბასთან სოლიდარობის ფართო მოძრაობის“ განვითარებას.

მაროკოს უდიდეს ქალაქ კასაბლანკის ნავსადგურში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მიტინგი კონგოელი ხალხის მხარდასაჭერად. „სიდი მაარუფის“ სტადიონზე შეიკრიბა ასეული ათასობით მაროკოელი. მიტინგის მონაწილეებს უჭირავთ ტრანსპარანტები, რომლებიც მოითხოვენ ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას კონგოდან და რომლებზეც წარწერილია ახალგაზრდა რესპუბლიკის მხარდაჭერის სიტყვები: „ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ბელგიის კოლონიზატორული მოქმედების წინააღმდეგ!“, „თავისუფლება აფრიკას!“ მიტინგს დაესწრნენ მინისტრები პრემიერ-მინისტრის მოადგილის მემკვიდრე პრინცის მულაი ჰასანის მეთაურობით, მაროკოს პოლიტიკური პარტიების ლიდერები, პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. დამსწრეთა შორის იყვნენ აფრიკის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები მაროკოში.

შეკრებილთა წინაშე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მემკვიდრე პრინცმა მულაი ჰასანმა. შეეხო რა ბელგიელ კოლონიზატორთა ცდებს მოსწყვიტონ კონგოს კატანგის უმდიდრესი პროვინცია და მიხცენ იგი გასაძარცვავად საერთაშორისო მონოპოლიებს, მულაი ჰასანმა განაცხადა: „კატანგა და კონგო ერთიანი უნდა იყვნენ“. ამფამად, განაგრძო მან, კონგოს წინაშე არჩევანია: ან დანებდეს და მიიღოს კოლონიზატორთა პირობები, ან, მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, დაიცვას თავისი ქვეყნის მთლიანობა. დასასრულ მულაი ჰასანმა განაცხადა, რომ მაროკოს მთავრობა და ხალხი სავსებით უჭერენ მხარს კონგოელ ხალხს მის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და ყოველი ღონისძიებით გაუწევენ მას მორალურ და მატერიალურ დახმარებას. (საკდესი).

ინგლისის ჯარების მანევრები

ბერლინი, 19 ივლისი. (საკდესი). გუშინ ვესტფალიასა და ქვემო საქსონიაში დაიწყო ინგლისის ჯარების მანევრები „ატომური იარაღის გამოყენების“ პირობებში. მანევრებში მონაწილეობს „რაინის არმიის“ 3.800 ჯარისკაცი, 1.300 ავტომანქანა და ტანკი, აგრეთვე მთელი რიგი საავიაციო ნაწილები.

საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით

ბრიუსელი, 20 ივლისი. (საკდესი). კონგოს რესპუბლიკის მთავრობამ, მსოფლიო და ბელგიის საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნის შედეგად, რომ კონგოდან გაეყვანათ ბელგიის შეიარაღებული ძალები, დღეს, როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ბელგიის ჯარის ქვეგანაყოფები, რომლებიც ლეოპოლდვილის რაიონში არიან, უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ბაზებს კონგოს შიდა რაიონებში.

ეროვნული ბანკების ... ბრძოლა

... - ... ... წინააღმდეგ

ბრიუსელი, 19 ივლისი. (საკდესი). კონგოს ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე დღეებს განიცდის. ბელგიის შეიარაღებული აგრესია არ ცხრება მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებისა კონგოდან ბელგიის მთელი ჯარების გაყვანის შესახებ. საბრძოლო მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაშია სამხედრო-საზღვაო ძალების ათასზე მეტი პარაშუტისტი-რეზერვისტი და ჯარისკაცი.

ბელგიის პროგრესული პრესა მკაცრად გმობს ბელგიის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ყოველგვარი გზით ცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები კონგოში. „შეეინარჩუნოთ საღი თავი. არ დაეშვათ სამხედრო ავანტიურები“ — წერს გაზეთი „ლა გოში“.

„სავსებით ცხადია, — წერს თავის მხრივ გაზეთი „დრაპო რუჟი“, — რომ კონგოში ბელგიის ჯარისკაცთა ახალი კონტინგენტების გაგზავნის განკრძობას მოპყვება მხოლოდ ვითარების გართულება და დაძაბულობის გაძლიერება კონგოში“.

გელგიელ ჯარისკაცებმ, გაეთრიეთ კონგოდან

ბრიუსელი, 19 ივლისი. (საკდესი). გუშინ ლეოპოლდვილში გაიმართა კონგოს რესპუბლიკის სენატისა და წარმომადგენლთა პალატის სხდომები. ორივე პალატამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ ბელგიის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას კონგოდან.

საალყო წესები გვატემალაში

ნიუ-იორკი, 20 ივლისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გვატემალის მთავრობამ გუშინ მთელ სახელმწიფოში 30 დღის ვადით შეზღუდა საალყო წესები. ამ ღონისძიებისათვის საბაბი, როგორც მთავრობა ამტკიცებს, იყო არეულობა, რომელსაც თითქოს „კომუნისტები იწვევენ“. საალყო წესებთან დაკავშირებით ყველა საკონსტიტუციო გარანტია გაუქმებულია, აკრძალულია კრებები. გამოაცხადეს, რომ „დროებით აკრძალულია“ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა. თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა, რომ პოლიციელთა რაზმები და სამხედრო პატრულები აწარმოებენ ჩხრეკას საცხოვრებსა და ავტომანქანებში. მთავრობამ დაიწყო კონტროლი რადიოსადგურებისადმი და უფლება მიიღო შემოიღოს ცენზურა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ 19 ივლისს ლონდონში დაიწყო ინგლისის სამეფო საზოგადოების (მეცნიერებათა აკადემიის) 300 წლისთავის საზეიმო დღესასწაული, ზეიმს, რომელიც გახსნა დედოფალმა ელისაბედ II, ესწრებიან ბევრი ქვეყნის მეცნიერები, მათ შორის საბჭოთა მეცნიერების დელეგაცია აკადემიკოს ნ. ნ. სემიონოვის მეთაურობით.

□ **კუბის** მთავრობის თხოვნით დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ გადაწყვიტა ააშენოს ბავშვთა კოლონია კუბაში.

□ **პაკისტანი** რადიოს ცნობით, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა გამოსცა ბრძანებულება — დაინიშნოს სირიის რაიონის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ნურ ედ-დინ კალალი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტად. მეორე ბრძანებულებით პრეზიდენტმა აბდელ ნასერმა დააწესა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კ

ლიტერატურა და ხელოვნება

ტკბილად, მექსიკურად...

ჩვენი საუბარი თარჯიმანის საშუალებით შედგა.

— რას იტყვით საბჭოთა კავშირში თქვენი გასტროლების შესახებ?

— დიდად მოხარული ვარ თქვენს ქვეყანაში ყოფნით. უკვე გავეცანი მოსკოვსა და ტაშკენტს, იქაურ ობიექტურ მაყურებელს, რომელმაც ასე გულთბილად მიიღო ჩემი ქვეყნის ხალხების სიმღერები. მაგრამ პირფერობა არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ თბილისმა, ამ ბალმაქალაქმა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მართალია, პირველად ვარ საქართველოში, მაგრამ ქართველი ხალხის მაღალი კულტურის შესახებ ბევრი მსმენია. დასახსრულ გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებსა და ქართველ სტუმართმოყვარე ხალხს გადასცეთ ჩემი და ჩემი ხალხის კეთილი სურვილები.

ეს სიტყვები ეკუთვნის მექსიკის ცნობილ მომღერალ ქალს ელია კასანოვასს, რომელიც საგასტროლოდ ჩამოსულია თბილისში.

14 წლის ელია უკვე გამოდის მექსიკის ქალაქებში კონცერტებზე. შემდეგ 7 წლის განმავლობაში მოგზაურობს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ადგილ კონცერტების გამართვასთან ერთად აგროვებს და სწავლობს ამ ქვეყნების ხალხთა სიმღერებს. მალე ელია კასანოვასი ცნობილი ხდება როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხური სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი. დიდი წარმატებით გამოდის აგრეთვე ესპანეთში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საფრანგეთში ყოფნისას იუნესკოს მუსიკალური ფონდისათვის ელია კასანოვასის შესრულებით ჩაწერილ იქნა ლათინური ამერიკის ქვეყნების სამი ხალხური სიმღერა.

მექსიკელი მომღერალი ქალის კონცერტები, რომლებიც თბილისელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო, გასტანს 25 ივლისამდე.

ო. არობელიძე.

• • •

სურათზე: მღერის ელია კასანოვას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲒᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲕᲘᲜ არ მოუხიბლავს საქართველოს ცალაზიდულ მთებსა და აყვავებულ ველ-მინდვრებს, ზღვის თვალწარმტაც სანაპიროსა და მიუვალ ჭიუხებს, მის მთასა და ბარს. ლამაზია მისი ბუნებრივი სამკაულები, ლამაზია ხალხის გენიით შექმნილი უკვდავი ძეგლები.

მაგრამ საკვირველებანი მიწის წიაღშიც არის. ერთი მათგანია ქუთაისის მახლობლად მდებარე სათაფლიას ნაკრძალი.

მიჰყვებით ფართო გზატეხილს, და უეცრად ყურადღებას იქცევს საოცარი ნაკვალევით აჭრილებული მიწის კირქვიანი ზედაპირი.

მეცნიერთა მტკიცებით, ეს არის ნაკვალევი გიგანტური მტაცებელი ცხოველების — დინოზავრებისა, რომლებიც დაახლოებით ასოცი მილიონი წლის წინათ არსებობდნენ. მაშინ აქ ზღვის სანაპირო ყოფილა. მილიონი წლების განმავლობაში რბილი მერგელოვან-კირქვიანი ნიადაგი გამკვრივებულა და მასთან ერთად გაქვავებულა დინოზავრების ნაკვალევიც. შედარებით მცირე ფართობზე ნაპოვნია 25 დინოზავრის 200-მდე ნაკვალევი. ასე მკაფიო და ამდენი ნაკვალევი არსად არ გვხვდება დედამიწაზე.

მაგრამ დინოზავრთა ნაკვალევი სათაფლიას ერთადერთი საოცრება რომია. ცოტა მოშორებით ანკარა ნაკადული მოჩუხჩუხებს და მთის ძირში იკარგება.

ეს პატარა ნაკადული მართლაც საოცარი ოსტატი ყოფილა — მთა შუაზე გაუპია და ზღაპრული გამოქვაბული გამოუკვეთავს. ხოლო მილიონობით წლებს წყლის წვეთები გიგანტურ სვეტებად უქცევია. სათაფლიას სტალაგმიტებითა და სტალაქტიტებით მდიდარი ულამაზესი გამოქვაბულის სიგრძე 700 მეტრია. მის ფართო დარბაზებს ზღაპრულ ურჩხულებად და ცხოველებად ქცეული სვეტები ამშვენებს. დაახლოებით ათი მილიონი წელი დასჭირდებოდა პატარა ნაკადულს, ასეთ გამოქვაბულად რომ ექცია თავისი კალაპოტი. წარმონაქმნები სიუხვითა და სილამაზით სათაფლიას გამოქვაბულს კლასიკური ნიმუშად აქცევენ.

ამ ბუნებრივ საოცრებებზე მოგვითხრობს ფერადი კინონარკვევი „სათაფლია“, რომელიც ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიამ გამოუშვა. კინონარკვევი გადაღებულია მ. ხალუქვაძის სცენარის მიხედვით, რეჟისორია რ. ჭიაურელი, ოპერატორია თ. მეგრელიშვილი, მუსიკა დაწერა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ნ. დუღაშვილმა.

მზია კობახიძე.

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲭᲐᲜᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ

★

მუსიკალური კომედიის ქართული თეატრი დღეს

★

ᲕᲐᲢᲚᲘ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა (მთავარი რეჟისორი შ. მესხი) უკვე საკმაო ხანია პოპულარობა მოიპოვა. სწორედ ამ თეატრმა მიაცა საგზური მუსიკალური კომედიის ჟანრში ამჟამად უკვე ისეთ პოპულარულ კომპოზიტორებს, როგორიც არიან შ. მელორავა, რ. ლალიძე, ა. კერესელიძე, ნ. გუდიაშვილი, გ. ცაბაძე, რ. გაბიჩვაძე, ა. მაგერრუბაშვილი, ვ. კურტიდი. ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი მათი საუკეთესო ნაწარმოებები შეადგენენ ძირითადად თეატრის დღევანდელ რეპერტუარს. მათ შორის შ. მელორავას „ჭირვეული ქმრის მორჯულება“, ქ. პლიევის „გაზაფხულის სიმღერა“, ა. კერესელიძის „მთვარიდან ჩამოფრენა“, აგრეთვე ა. დუნაევსკის „ლაი ქარი“.

სამი სარეცენზიო წარმოდგენა — უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალან“, შ. მელორავას „ჭირვეული ქმრის მორჯულება“ და ქ. პლიევის „გაზაფხულის სიმღერა“ — გვაძლევს თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების, დღეს რესპუბლიკაში საოპერეტო ჟანრის მდგომარეობის გარკვეულ სურათს. „არშინ-მალ-ალანისა“ და „გაზაფხულის სიმღერის“ დადგმით თეატრმა სიყვარულით წარმოგვისახა მომძე რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნება.

უ. ჰაჯიბეკოვის კლასიკური ოპერეტა, რომლის დადგმაც საბჭოთა აზერბაიჯანის 40 წლისთავს მიეძღვნა, ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. მუსიკალური და უშუალონი არიან მომღერლები, რომელთაგან სცენური მოქნილობით, მომხიბლავი გულწრფელობით გამოირჩევა ო. ბახტაძე. ფერადოვანია მთელი წარმოდგენა, მოქნილი და მონოლითურია ორკესტრი.

ქ. პლიევის ოპერეტა „გაზაფხულის სიმღერა“ ბეგრი ღირსების წყალობით უდავოდ იქნება თეატრის სარეპერტუარო ნაწარმოები. კომპოზიტორი კარგად იყენებს სხვადასხვა ვოკალურ ფორმებს, რაც ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის წარმოდგენას: მასში არის ლირიკული სიმღერები და არიები, ფოსტალიონის კომიკური კუპლეტები (ამ როლს სახოვნად ასრულებს ჯ. კალაკვაძე), მკვეთრი კომედიური დუეტები და განსაკუთრებით სამი ნასვამი ქალის პატარა კოლორიტული სცენა ე. ჩოხელის, ბ. იანვარაშვილისა და მ. ხოფერიის ხატოვანი შესრულებით. ოღონდ დასანანია, რომ ზოგჯერ ქ. პლიევი კარგავს ეროვნული კოლორიტის გრძნობას...

შ. მელორავას „ჭირვეული ქმრის მორჯულების“ მოსმენამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამოიწვია. ამ გრძნობას იწვევს ყველაფერი: მუსიკაც და ლიბრეტოც. ქართულ მუსიკაში შ. მელორავას ადგილი დიდი ხანია განისაზღვრა. იგი ეროვნული ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის ჟანრის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია. ამიტომ ასეთი ნიჭიერი კომპოზიტორი, რომელმაც შექმნა სარეპერტუარო ნაწარმოებები „სასიძოები“, „სიმღერა თბილისზე“ და „საყვარელი დისშვილი“, არ უნდა წასულიყო იოლი გზით, რაც ცოლნით დაწერილი ბეგრი მუსიკალური ნომერი მხოლოდ აერთებს სალაპარაკო ტექსტს, არსებობად კარგია, მაგრამ თავისივე ადრინდელი მუსიკის გადამღერებას წარმოადგენს.

ლიბრეტოში (ავტორი დ. თაქთაქიშვილი) არ არის სულ უბრალო სცენური ინტრიგაც კი. გულდასაწყვეტია, როცა მაყურებელს უჩვენებენ მთელ საცეკვაო სურათს (დამდგმელი დ. მაჭავარიანი) რომელიც აკრობატიკისა და ტანვარჯიშის ცუდ ნარევს უფრო მოგვაგონებს. ამ სურათს მოქმედების განვითარებასთან საერთო არაფერი აქვს. იგი ნერგავს ცუდ გემოვნებას, რომლისგანაც საერთოდ თეატრი დიდი ხანია განთავისუფლდა. თეატრის უპირველესი ამოცანაა ბრძოლა ფეოდალი წარმოდგენის მაღალი იდეურ-მხატვრული დონისათვის.

ეი უკვე რამდენიმე წელიწადია საკუთარი ჭერის უქონლობის გამო თეატრი მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. ქალაქის სხვადასხვა თეატრალური შენობის შემთხვევითი სტუმარია. განა დრო არ არის ყრილი დაიძრას და როგორმე მოხერხდეს თეატრის ძველი შენობის დაპროექტებული ოვალინსტრუქციის განხორციელება? ამ ამბის დადებითად გადაჭრა სხვა ბევრ საკითხსაც დადებითად გადაწყვეტს, რადგან თეატრის ზოგიერთი შემოქმედებითი წარუმატებლობა არანორმალური სამუშაო პირობებიდანაც გამომდინარეობს.

მაგრამ იქნებ მარტო შენობით ამოიწურება ის დახმარება, რომელიც თეატრს ესოდენ სჭირდება? სულაც არა. შემოქმედებითი კოლექტივის ყველაზე სუსტი ადგილია წამყვანი სოლისტების მეტისმეტი რიცხობრივი სიმცირე. ეფექრობთ, ნორმალურად არაგინ მიიჩნევს ისეთ მდგომარეობას, რომ წამყვანი სოლისტი ყოველ საღამოს, ყოველ წარმოდგენაში გამოდის, დიდ დატვირთვას კისრულობს, თუმცა მაინც მთელი სულით და გულით ცდილობს მსმენელს ესთეტიკური ტკბობა აგრძნობინოს. ისიც ვთქვათ, რომ ამ სოლისტებს უხდებათ მოგზაურობა ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში, ზოგჯერ კი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში გასვლოს წარმოდგენაში მონაწილეობა. აქ ორი წამყვანი სოლისტი ქალი ჰყავთ — ე. გურაშვილი და თ. მერკვილაძე, რომლებიც გამომსახველი, ლამაზი ხმით, სიკაბუკით და სასიამოვნო სცენურობით გამოირჩევიან. ჩაიხედეთ რომელ პროგრამაშიც გნებავთ და იმათ გვარებს აუცილებლად შეხვდებით. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ პირდაპირ მესაფურია ამ მსახიობთა შემოქმედებითი აქტივობა და სცენური გამძლეობა...

თუ თეატრში ორი მაინც ჰყავთ გმირი ქალის როლის შემსრულებელი, დასში სულ არ არიან მომღერალი ვაჟები, რომლებსაც შეეძლებათ რიული ვოკალური პარტიების მესრულება. ამაში ქ. პლიევის ოპერეტის მოსმენისას დავრწმუნდით. კომპოზიტორის ჩანაფიქრით, ნაყოფოფრაში მთავარი ლირიკული ხაზის მატარებელია ტრაქტორისტი ჩერმენი. მაგრამ ამ როლის შესრულებელს გ. აბულაძეს ლამაზი სცენური გარეგნობის გარდა სხვა არაფერი აქვს: არც ვოკალური მონაცემები და არც აქტიორული უნარი. ამიტომაც თეატრის წინაშე კვლავ დგება ამოცანა: სად, როგორ მოძებნონ ისეთი მომღერები, რომლებსაც შეეძლებათ ერთნი შეცვალონ, სხვებს კი ხვედრი შეუმსუბუქონ? ჩვენი კონსერვატორიის კურსდამთავრებული ახალგაზრდობა რატომ ისე არაკეთილმოსურნედ ეკიდება მუსიკალური კომედიის ჟანრს, რატომ არცერთი მათგანი არ მიდის ამ თეატრში? განა აქ გამოსვლა ნაკლებად საპატიოა!

რამდენიმე წლის წინათ თეატრალურ ინსტიტუტთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება რომელიც ამ თეატრისათვის ამზადებს კადრებს. იქედან ვიქონიოთ, რომ იგი თეატრს ესოდენ საჭირო მომღერლებს შესძენს. ერთი კი ცხადია: თეატრსა და ამ განყოფილებას შორის უაღრესად მჭიდრო კავშირი უნდა იყოს.

გაეცალეთ ისეთესი მდგომარეობა სახასიათო როლების შემსრულებელთა მხრივ, რომელთა შორის არიან: სცენური გამოცდილების მქონე მსახიობები ქ. კობახიძე და ვ. სალარიძე; უნარიანი ახალგაზრდები ო. ბახტაძე, ჯ. კალაკვაძე, ზ. კახიანი; მკვეთრი პორტრეტული ხასიათის ოსტატები ე. ჩოხელი, ბ. იანვარაშვილი, ი. ქუთათელაძე და ა. ტურიაშვილი, რომელიც სარეცენზიო წარმოდგენებით თუ ვიმსჯელებთ, განთავისუფდება წინა წლების იაფფასიანი კომედიურობისაგან, უფრო აკადემიური და თავდაჭერილი ჩანს.

უკანასკნელ წლებში თეატრის უდავო შემოქმედებითი ზრდა უწინარეს ყოვლისა მუსიკალურ-მხატვრული მხრივ იჩენს თავს. მხატვრული ხელმძღვანელობა ამჟამად გამოცდილი დირიჟორის შ. ბორჩხაძის ხელშია. მომღერლებთან, ორკესტრთან დირიჟორის ენერგიული მუშაობა ჩანს ყველაზე მთავარსა და აუცილებელში, რაც კოლექტივს წინათ აკლდა: ვინაიდან მუსიკალური თეატრია, უწინარეს ყოველისა ყველაფერი მუსიკას უნდა ემორჩილებოდეს. წავიდა ის დრო, როცა თეატრისაგან მოითხოვდნენ სულ მცირედს — ინტონაციურ სიწმინდეს მომღერალთაგან, ხოლო ორკესტრისგან — მწყობრ და სრულ ეღერადობას. მართალია დიდი დავიდარაბის შემდეგ, მაგრამ ორკესტრის შემადგენლობა მაინც გაბარდა. ახლა იგი უბრალოდ აკომპანემენტს კი არ უწევს მომღერლებს, არამედ გადაგვიშლის კომპოზიტორის ჩანაფიქრს, ხსნის ნაწარმოების პარტიტურას.

სამაგიეროდ, შ. ბორჩხაძისა და ხორმეისტერ ო. მელიას წინაშე დგას სხვა სიძნელის საკმაოდ რთული ამოცანა — ისე ამღერონ 14 კაცისაგან შემდგარი პატარა ჯგუფი, რომ იგი წარმოდგენაში გუნდს განასახიერებდეს. ეს საკითხი არ გადაიჭრება, ვიდრე ეგრეთწოდებული „გუნდი“ არ შეივსება. იქნებ ამიტომაც არის, რომ ჩვენს ოპერეტებსა და მუსიკალურ კომედიებში არ ვხვდებით მკაფიო საგუნდო სიმღერებს, კოლორიტულ მასობრივ ანრულ სურათებსა და სცენებს — ამას ხომ შემსრულებელი სჭირდება. ამის გამო, სამწუხაროდ, ჩვენი კომპოზიტორები ამგვარ ფორმებს გვერდს უვლიან...

სიძნელეთა დაძლევით სავსე კიდევ ერთი წელი უკან დარჩა. თეატრმა სეზონი დახურა. გუსურვებთ თეატრს, მის კოლექტივს არსებულ სიძნელეთა დაძლევის გზით ახალ შემოქმედებით წარმატებას.

ᲖᲘᲠᲐ ᲤᲘᲩᲮᲐᲫᲔ.

სცენა შ. მელორავას ოპერეტიდან „სიმღერა თბილისზე“.

ფოტო მ. საამოვისა.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲝᲕᲘᲦᲑᲓᲔᲡ

მკითხველები ეხმაურებიან წერილს „ეროვნული ტრაგედია“

რომ არ გავწითლდეთ...

ᲐᲛᲐᲡ წინათ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით „მეწყინა“, რომელშიც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ზოგჯერ ადამიანს არასწორად, მოუფიქრებლად დარქმეული სახელი. ჩანს, ეს საკითხი მტკივნეულია ფართო საზოგადოებრიობისათვის. ამიტომ არის, რომ რედაქციას სისტემატურად მოსდის მკითხველთა წერილები, რომლებშიც დაგმობილია უცნაური და ყოვლად გაუმართლებელი სახელების დარქმევის პრაქტიკა. ამ კორესპონდენციების ავტორები ერთხმად აღიარებენ, რომ ადამიანისათვის სახელის დარქმევა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა და ამ საქმისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება საბჭოთა მოქალაქეს არ ეკადრება.

ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქცია გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებს მკითხველთა წერილებს.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲔᲠ გადამიფურცლავს საკლასო ჟურნალები და ამომიკითხავს ასეთი სახელები: „ბუჩქი“, „ფორდი“, „ნანატრი“, „ლეგოლი“, „მონრო“ და სხვ. სამწუხაროდ, ასევეა დაბადების მოწმობებშიც.

ვეთანხმებით რედაქციას იმაში, რომ სახელი უნდა შეეფერებოდეს ჩვენი ხალხის ტრადიციას, ცხოვრებას, ოჯახის და საზოგადოების განვითარებას.

დროა ამ საქმეში დაუდეგრობას ბოლო მოეღოს.

ჩვენი წინადადებები ასეთია:

დაევალოს სათანადო ორგანოებს ამ საქმეში ავტორიტეტულ პირთა და მეცნიერთა მონაწილეობით შეადგინონ წიგნი რეკომენდებული ქართული სახელებით და უმოკლეს დროში დაუგზავნონ სასოფლო, საქალაქო საბჭოებს და მშობიარეობებს;

სათანადო ორგანოებში დაისვას საკითხი, რომ გაიცეს განკარგულება, რათა შესაბამისი სკოლებისა და ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე შეუცვალონ შეუფერებელი სახელები ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი.

მ. ᲨᲘᲚᲕᲐᲠᲘᲐ,
ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი.

ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲢᲐᲨᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲕᲔᲜ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 20 ივლისი. (საკადესის სპეც. კორ.). რუსთაველის სახელობის თეატრმა კიევში უჩვენა სამი სპექტაკლი — „ბახტრიონი“, „ოტელო“, „ოიდიპოს მეფე“. ყურადსაღებია, რომ ამ დადგმებში ძირითადად კოლექტივის უფროსი თაობა მონაწილეობდა. თუმცა ამ სპექტაკლებში მონაწილეობდა აგრეთვე წარმატების მქონე ახალგაზრდობა ნ. მგალობლიშვილის, ზ. კვერნაჩნილაძის, კ. მახარაძის, ნ. ანდღულაძისა და სხვების სახით, მაგრამ უკრაინის დედაქალაქის თეატრალური ხელოვნების მოყვარულთ ეს არ აძლევდა შესაძლებლობას გაცნობოდა იმ კოლექტივის ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითს სახეს, რომელიც მათ შეუყვარდა.

და აი დღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ზაკარიაძის (მანტიანი კაცი) მეთაურობით კოპოუტის პიესა „ასეთ სიყვარულში“ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე წარსდგა თეატრის ახალგაზრდობის ჯგუფი. მთავარ როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჩახავა, საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობები თ. თარხნიშვილი, ს. ყანჩელი, აგრეთვე კ. საკანდელიძე, ბ. კობახიძე და სხვ. (სპექტაკლის რეჟისორია მ. თუმანიშვილი, მხატვარი — დ. თავაძე).

სპექტაკლი გულთბილად მიიღო მაყურებელმა.

რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებს დიდ ყურადღებას უთმობენ უკრაინის დედაქალაქის პრესა, რადიო და ტელევიზია. გაზეთებში იბეჭდება რეცენზიები დადგმების შესახებ, მსახიობთა, რეჟისორთა წერილები. ტელევიზიამ გასტროლების პირველ დღეს უჩვენა სხვადასხვა სპექტაკლის ნაწყვეტები. 19 ივლისს საღამოს კი კიევის, უახლოესი ქალაქებისა და სოფლების ასეულ ათასობით მცხოვრებმა ნახა სპექტაკლი „ბახტრიონი“.

19 ივლისს საღამოს უკრაინის თეატრალური საზოგადოების მიწვევით მსახიობთა ჯგუფი, რომელიც „ბახტრიონში“ არ მონაწილეობდა ზვიდან ქალაქ კანევს, სადაც დაათვალიერა დიდი უკრაინელი მწერლის, მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის ტარას შევჩენკოს საფლავი.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐ

ხარკოვში დაიწყო სტუდენტ სპორტსმენთა საკავშირო საზაფხულო შეჯიბრება. აქ ეროვნული პიონერლობის ეცილებიან მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ხარკოვის, ერევნის, ბაქოსა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენთა უძლიერესი კოლექტივები.

ეს ასპარეზობა ყურადღებას იპყრობს მასობრიობით, ბრძოლის სიმწვავით, მაღალტექნიკური თამაშით. დიდ ინტერესს, იწვევს შეხვედრები ფრენბურთისა და კალათბურთში, ჩოგბურთისა და ხელბურთში, აგრეთვე სხვა სახეობებში.

დამთავრდა გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში. აქ თავიდანვე ცხადი გახდა, რომ პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ მოსკოვისა და თბილისის გუნდები. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან დასკვნითს ასპარეზობებში გამოდიოდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.

თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს ნახევარფინალური შეხვედრები და ფინალში გავიდნენ. დასკვნით ასპარეზობაში ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩოგბურთელებმა დამარცხეს უნივერსიტეტის გუნდი 4:3 და პირველი ადგილი დაიკავეს.

წარმატებით იბრძვიან ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების გუნდები კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში.

სტუდენტ სპორტსმენთა ასპარეზობა გრძელდება.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲠᲔ

«მცირე ოლიმპიადა»

ლენინგრადში გრძელდება მსოფლიო გუნდური პირველობის გათამაშება, ანუ „მცირე ოლიმპიადა“ ქალრაკში სტუდენტ მოჭადრაკეთა მონაწილეობით.

19 ივლისს გიმართა ჩემპიონატის მეოთხე ტური. სსრ კავშირის გუნდმა ამ დღეს მოუგო ინგლისის მოჭადრაკეებს ანგარიშით 3:1. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან დამარცხება განიცადა ნიკოლაევსკმ.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არის ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, რომელსაც 14 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მეორე ადგილზეა სსრ კავშირის გუნდი (12 ქულა და 1 გადადებული პარტია), მესამეზე — ინგლისის გუნდი (11 ქულა).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

22 და 23 ივლისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, საშტრეთ რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 15-20, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 20-25 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 19-24 გრადუსი.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 23 ივლისს.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲒᲖᲔ

უნივერსალური მაღაზია

ᲕᲐᲜᲘ. (საკ. კორ). რაიონის ცენტრში დამთავრდა ორსართულიანი შენობა, სადაც გაიხსნა რაიკოოპკავშირის უნივერსალური მაღაზია, რომელსაც სხვადასხვა სექციები აქვს. იგი უზრუნველყოფილია ძვირფასი ქსოვილებით, მრავალფეროვანი ასორტიმენტის ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, სამრეწველო საქონლით.

მაღაროელები კურორტებზე

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მაღაროელები თავიანთ ფეხუელებს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ატარებენ. წელს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე უკვე დაისვენა 432 მაღაროელმა. მადნის მტვირთავი მანქანის მემანქანემ გ. დვალიშვილმა შვებულება ახტალაში გაატარა. დურგალი ჯ. ბერძენიძე ბაგრაში ისვენებდა, მბურღავი ბ. კუპატაძე ჟელეზნოვოდსკში, გ. სირაძე კისლოვოდსკში, მადნის ამწმენდი ნ. ნადირაძე ბორჯომში, ნ. ცაბაძე ბაგრაში. წყალტუბოში დაისვენა მნგრეველმა ს. ფხალაძემ.

მარტო პროფკავშირის მიერ გაცემული საგზურებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შვებულებას გაატარებს 976 მაღაროელი.

ტურისტები ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.) მიმდინარე სეზონში ქალაქზე ორი საკავშირო ტურისტული მარშრუტი გადის. აქ ტურისტები მოეძართებიან ქ. ორჯონიკიძიდან მამისონის უღელტეხილით და შოგზე გამოვლით, აგრეთვე ბორჯომიდან ბაკურიანზე, ვარძიაზე, ხიკარის უღელტეხილზე, საირმესა და მაიაკოვსკზე გავლით. ამ მარშრუტებზე ტურისტები „სსრ კავშირის ტურისტის“ სპეკერდე ნიშნებს იღებენ. ქუთაისში ჩამოსული ტურისტების განკარგულებაშია ტურისტთა სახლი, სასადილო, ექსკლუზიური ავტობუსი. აქ უკვე იყვნენ ტურისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ვლადიმირსკიდან, ჩიტიდან, მინსკიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ტაშკენტიდან, რიგიდან, ვილნიუსიდან, ტალინიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან.

ᲒᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲦᲔᲡ

ᲛᲔᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲒᲖᲔ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ᲕᲐᲜᲘ. (საკ. კორ). რაიონის ცენტრში დამთავრდა ორსართულიანი შენობა, სადაც გაიხსნა რაიკოოპკავშირის უნივერსალური მაღაზია, რომელსაც სხვადასხვა სექციები აქვს. იგი უზრუნველყოფილია ძვირფასი ქსოვილებით, მრავალფეროვანი ასორტიმენტის ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, სამრეწველო საქონლით.

მაღაროელები ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მაღაროელები თავიანთ შვებულებას სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ატარებენ. წელს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე უკვე დაისვენა 432 მაღაროელმა. მადნის მტვირთავი მანქანის მემანქანემ გ. დვალიშვილმა შვებულება ახტალაში გაატარა. დურგალი ჯ. ბერძენიძე ბაგრაში ისვენებდა, მბურღავი ბ. კუპატაძე ჟელეზნოვოდსკში, გ. სირაძე კისლოვოდსკში, მადნის ამწმენდი ნ. ნადირაძე ბორჯომში, ნ. ცაბაძე ბაგრაში. წყალტუბოში დაისვენა მნგრეველმა ს. ფხალაძემ.

მარტო პროფკავშირის მიერ გაცემული საგზურებით სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში შვებულებას გაატარებს 976 მაღაროელი.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.) მიმდინარე სეზონში ქალაქზე ორი საკავშირო ტურისტული მარშრუტი გადის. აქ ტურისტები მოეძართებიან ქ. ორჯონიკიძიდან მამისონის უღელტეხილით და შოგზე გამოვლით, აგრეთვე ბორჯომიდან ბაკურიანზე, ვარძიაზე, ხიკარის უღელტეხილზე, საირმესა და მაიაკოვსკზე გავლით. ამ მარშრუტებზე ტურისტები „სსრ კავშირის ტურისტის“ სპეკერდე ნიშნებს იღებენ. ქუთაისში ჩამოსული ტურისტების განკარგულებაშია ტურისტთა სახლი, სასადილო, ექსკლუზიური ავტობუსი. აქ უკვე იყვნენ ტურისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ვლადიმირსკიდან, ჩიტიდან, მინსკიდან, ბაქოდან, ერევნიდან, ტაშკენტიდან, რიგიდან, ვილნიუსიდან, ტალინიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან.

ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲭᲐᲜᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ

★

მუსიკალური კომედიის ქართული თეატრი დღეს

★

ᲕᲐᲢᲚᲘ აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა (მთავარი რეჟისორი შ. მესხი) უკვე საკმაო ხანია პოპულარობა მოიპოვა. სწორედ ამ თეატრმა მიაცა საგზური მუსიკალური კომედიის ჟანრში ამჟამად უკვე ისეთ პოპულარულ კომპოზიტორებს, როგორიც არიან შ. მელორავა, რ. ლალიძე, ა. კერესელიძე, ნ. გუდიაშვილი, გ. ცაბაძე, რ. გაბიჩვაძე, ა. მაგერრუბაშვილი, ვ. კურტიდი. ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი მათი საუკეთესო ნაწარმოებები შეადგენენ ძირითადად თეატრის დღევანდელ რეპერტუარს. მათ შორის შ. მელორავას „ჭირვეული ქმრის მორჯულება“, ქ. პლიევის „გაზაფხულის სიმღერა“, ა. კერესელიძის „მთვარიდან ჩამოფრენა“, აგრეთვე ა. დუნაევსკის „ლაი ქარი“.

სამი სარეცენზიო წარმოდგენა — უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ-მალ-ალან“, შ. მელორავას „ჭირვეული ქმრის მორჯულება“ და ქ. პლიევის „გაზაფხულის სიმღერა“ — გვაძლევს თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების, დღეს რესპუბლიკაში საოპერეტო ჟანრის მდგომარეობის გარკვეულ სურათს. „არ